ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4397516

ნომერი: AR1656445

თარიღი : 21.01.2019

გაცემის თარიღი : 01.03.2019

გაცნობის თარიღი : 05.03.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , საქართველოს სამხედრო გზის , ახმეტელისა და ლუბლიანის ქუჩებს შორის.; ქალაქი თბილისი , საქართველოს სამხედრო გზა , ახმეტელისა და ლუბლიანის ქუჩებს შორის, (ნაკვ.22/124);

დამკვეთი-განმცხადებელი
- აკაკი ჩხაიძე პ/ნ 01004008072
- თბილისი მთაწმინდის შეს. N 7ა ბ. 14

ორგანიზაცია:
- სტუდია9 კოდი: 404429515

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 15 ოქტომბრის №4218244 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 21 იანვარს NAR1656445 განცხადებით მომართა აკაკი ჩხაიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2018 წლის 15 ოქტომბრის №4218244 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 15 ოქტომბრის №4218244 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, საქართველოს სამხედრო გზის, ახმეტელისა და ლუბლიანის ქუჩებს შორის; ქალაქი თბილისი, საქართველოს სამხედრო გზა, ახმეტელისა და ლუბლიანის ქუჩებს შორის, (ნაკვ.22/124), არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.01.022.194), მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის (საგამოფენო და საკონცერტო ცენტრი) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 15 ოქტომბრიდან 2021 წლის 15 თებერვლის ჩათვლით. განმცხადებლების განმარტებით, სამსახურის 2018 წლის 15 ოქტომბრის №4218244 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, კომერციული ფართობი 245.9 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს - 3047.69 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 59.7 კვ.მ-ის ნაცვლად - 59.6 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 1893.7 კვ.მ-ის ნაცვლად - 1916.05 კვ.მ, სასაწყობე ფართობი 159.3 კვ.მ-ის ნაცვლად - 15.30 კვ.მ, საწარმოო ფართობი 1444.8 კვ.მ-ის ნაცვლად - 655.59 კვ.მ, დამხმარე ფართობი 1007.2 კვ.მ-ის ნაცვლად - 685.19 კვ.მ, ხოლო საერთო ფართობი 5507.6 კვ.მ-ის ნაცვლად - 6476.3 კვ.მ. ამასთან ითხოვს, სარდაფის ფართობის (600.1 კვ.მ) ამოღებას. შესაბამისად, მოთხოვნილია აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორება. განმცხადებლის მიერ ასევე წარმოდგენილია გასწორებული გეგმები.
სამსახურმა განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება ფართობების დაზუსტება. შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლების მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 15 ოქტომბრის №4218244 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: კომერციული ფართობი: 3047.69 კვ.მ, საზაფხულო ფართობი: 59.6 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი: 1916.05 კვ.მ, სასაწყობე ფართობი: 15.30 კვ.მ, საწარმოო ფართობი: 655.59 კვ.მ, დამხმარე ფართობი: 685.19 კვ.მ, საერთო ფართობი: 6476.3 კვ.მ. ამასთან, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებიდან ამოღებულ იქნას სარდაფის ფართობის (600.1 კვ.მ).
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 15 ოქტომბრის №4218244 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 15 ოქტომბრის №4218244 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 15 ოქტომბრის №4218244 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge